



**2019 წლის 18 იანვრის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 19:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი.**

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) შოთა შოშიაშვილის განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 19 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

შოთა შოშიაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობა, გაცემული შპს „ადვოკატთა ალიანსის“ მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 20 ნოემბრიდან - 2019 წლის 16 იანვრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ შოთა შოშიაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული

შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შოთა შოშიაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნიკა ვარშალომიძის განცხადებას რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 19 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ნიკა ვარშალომიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობა, გაცემული იურიდიული კომპანია „პროცესის“ მიერ სტაჟირების გავლის თაობაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-16 მუხლის, 1-ლი პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობა ჩათვლილიყო საპატიოდ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ცნობა კვლავ არ არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობაში. განმცხადებელს განმეორებით ეცნობოს, რომ მის მიერ წარმოდგენილ იქნას სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს ნიკა ვარშალომიძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ნიკა ვარშალომიძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(გ) გიორგი ჭიალაშვილის განცხადებას თანდართული დოკუმენტებით რომლითაც ასოციაციას მომართა გაწევრიანების მოთხოვნით 2019 წლის 16 იანვარს.

წევრები გაეცნენ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის შესაბამისობაში „ადვოკატთა

შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს და რომლის თანახმად, ასოციაციაში გაწევრიანების მსურველ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც ერთწლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს გიორგი ჭიალაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების - პაატა მანწკავას, ფერიდე გაზდელიანისა და ზაზა ხარაიშვილის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს კანონის „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

“ადვოკატთა შესახებ“ კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი პაატა მანწკავას, ფერიდე გაზდელიანის და ზაზა ხარაიშვილის განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ დავით აბრამიშვილის, ანა ვარდიძეს, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირების: იზა კასრამეს, გულო ღვაჩლიანის, ნინო გუჯაბიძეს, ეკატერინე ჭილიტაშვილის და თეა დარსაველიძეს განცხადებების წევრობის შეჩერების და ილია დურგლიშვილისა და რამაზ რაზმაძეს განცხადებებს წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ,

რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ: დავით აბრამიშვილი, ანა ვარდიძე, იზა კასრაძე, გულო ღვაჩლიანი, ნინო გუჯაბიძე, ეკატერინე ჭილიტაშვილი, თეა დარსაველიძე. ამასთან, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს იზა კასრაძეს, გულო ღვაჩლიანის, ნინო გუჯაბიძეს, ეკატერინე ჭილიტაშვილის, და თეა დარსაველიძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

(ბ) საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული ილია დურგლიშვილისა და რამაზ რაზმაძის განცხადებები წევრობის შეწყვეტის შესახებ.

საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების

განხილვა

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ განცხადებებს საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების/გადავადების თაობაზე და განცხადეს, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს, რადგან საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარადგენს განსაზღვრულ კრიტერიუმებს რომლის თანახმადაც განისაზღვრება წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც წევრები ისარგებლებენ საშეღავათო საწევროთი ან გათავისუფლებიან საწევრო გადასახადისგან.

საკითხი 5. ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განიხილეს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევები და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწყობის პროცესთან დაკავშირებული საკითხები. მსჯელობის შედეგად საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიიჩნეს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13 მუხლის 13.4 და 13.5. პუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მოწვეულ იქნას ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრება, სადაც იმსჯელებენ და მიიღებენ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუციას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად, დამტკიცებულ იქნა შემდეგი:

1. ეთხოვოს თავმჯდომარეს ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა;
2. ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 3 თებერვალი;
3. რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების სავარაუდო ადგილად განისაზღვროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზი (მისამართი: ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1);
4. დამტკიცდეს ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი (დანართი 1);
5. აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე წარმოდგენილ იქნას 2019 წლის 3 თებერვლის ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების რეგლამენტი;
6. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2019 წლის 19 იანვარისა.

საკითხი 6. ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების ნაწილში, ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანად წარმოჩენისა და განხორციელებული აქტივობების პოპულარიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 1200 ლარით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ასოციაციის ბიუჯეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით ხარჯვით ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და გაიზარდოს 1200 ლარით.

საკითხი 7. ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე განაცხადის განხილვა

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ტრენინგების და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (TMCT) განაცხადი ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ტრენინგების და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (TMCT) განაცხადება ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 8. იურიდიული დახმარების საბჭოში წარდგენილი ადვოკატთა ასოციაციის წევრების წილისყრით ვადის განსაზღვრა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2018 წლის 22 იანვარს, აღმასრულებელი საბჭოს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის, „ტ“¹ ქვეპუნქტის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებად 4 წლის ვადით არჩეულ იქნენ ასოციაციის წევრები: რამაზ ჩინჩალაძე, თეა ჭეიშვილი და პავლე აბაიაძე.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23²-ე მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შერჩეული საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადის პირველი წლის გასვლის შემდეგ, შერჩეული 3 წევრიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ წილისყრით უნდა განსაზღვროს საბჭოს ის წევრები, რომელთა უფლებამოსილების დარჩენილი ვადაც განისაზღვრება 1,2 და 3 წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღმასრულებელმა საბჭომ განსაზღვრა წილისყრის ფარული წესი და შესაბამისად ფარული წილისყრის საფუძველზე ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

ადვოკატთა ასოციაციიდან იურიდიული დახმარების საბჭოში წარდგენილი წევრების უფლებამოსილების დარჩენილი ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად: თეა ჭეიშვილი - 3 წელი, რამაზ ჩინჩალაძე - 2 წელი და პავლე აბაიაძე - 1 წელი.

საკითხი 9. განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-7 მუხლის, 7.2 პუნქტში შესატანი ცვლილების პროექტი.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებას, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-7 მუხლის, 7.2. პუნქტში შესატანი ცვლილების პროექტი და მე-7 მუხლის 7.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.2. თუ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მონაცემებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე) ადვოკატმა ვერ დააგროვა სავალდებულო კრედიტ-საათები, სასწავლო ცენტრი, აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციით კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებს უგზავნის შეტყობინებას და აძლევს 3 თვიან ვადას განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებზეც დასწრებაც კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებისთვის ფასიანია. კრედიტდავალიანების მქონე ადვოკატებს, ასევე შეუძლიათ სამთვიანი ვადის განმავლობაში, კრედიტსაათები დააგროვონ დისტანციური სწავლებით უფასოდ. ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიების ღირებულება განისაზღვრება ღონისძიების ორგანიზატორის მიერ. სამი თვის გასვლის შემდეგ, სასწავლო ცენტრი წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატთა საბოლოო სიას და აღმასრულებელი საბჭო იმსჯელებს კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატთა უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე“.

საკითხი 10. ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების დამტკიცება

ადმასრულებელი საბჭოს წევრებს სასწავლო ცენტრის დირექტორმა წარუდგინა ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების სია.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს. განსახვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

საკითხი 11. ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა და დამტკიცება

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N3).

საკითხი 12. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ტრენერთა შემადგენლობის დამტკიცება

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ტრენერთა შემადგენლობა.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ტრენერთა შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N4).

საკითხი 13. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ამოქმედების თარიღის განსაზღვრა

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს აცნობა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების განსაზღვრული მოთხოვნების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია პროგრამის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 1-ლი თებერვალი.

წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს არა უგვიანეს 2019 წლის 1 თებერვალი.

საკითხი 14. ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებსა და მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის თარიღად მიზანშეწონილია განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი თებერვლიდან 28 თებერვლამდე დროის მონაკვეთი.

წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ადვოკატთა 2019 წლის საკვალიფიკაციო გამოცდებზე და მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი თებერვლიდან 28 თებერვლამდე დროის მონაკვეთი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რეგისტრაციის ბოლო ვადა გაიზარდოს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე